№ 197 19 გიორგობისთვე, შაბათი 1866—1877 19 გიორგობისთვე, შაბათი № 197

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ზანოვის ქუჩაზე.
ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.
გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.
ფასი განცხადებისა: [illegible] ებით ასოზე—[illegible] კაპ., —[illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.


ორი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

1 ნოემბრიდამ

ამ 1877 დამლევამდე

მიიღება ტფილისში, „დროების“ რედაქციაში (ზანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი ორი თვის გაზეთისა—2 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*


## ტელეგრამმები

### ბრძოლის ველიდამ

**სტამბოლი**, 16 ნოემბერს. შიპკოს ოსმალოს არმიის სარდალი რეუფ-ფაშა დანიშნულია იმ 150,000 არმიის მთავარსარდლათ, რომელსაც ახლა აგროვებენ ოსმალოები. აჰმედ-ეიუბ-ფაშა დაინიშნა ბალკანის ჯარის უფროსად რეუფ-ფაშის ალაგას.

**ლონდონი**, 16 ნოემბერს. ლორდ დერბის გამოეცხადა დეპუტაცია, რომელმანც ითხოვა, რომ ინგლისის მთავრობამ გააძლიეროს მალტის კუნძულზე მყოფი თავის გარნიზონი და ამას გარდა ბოსფორში შეიყვანოს ფლოტი. ლორდმა უპასუხა ამაზე დეპუტაციას, რომ ჯერ-ჯერობით ინგლისი არ ხედავს საჭიროდ, რომ ნეიტრალიტეტი დაარღვიოს, გაერიოს ომში, რადგან სტამბოლსა და სუეცის არხს რუსებისაგან არავითარი შიში არა აქვსო.

„ინგლისის ფლოტს, ოსმალეთის ნება-და-ურთველად, ვერ შევიყვანთ ბოსფორში, რადგან შესაძლებელია, რომ ოსმალეთმა ამ შემთხვევაში ისეთი პირობები მოგვთხოვოს, რომლის ასრულება ჩვენ უდროვოთ დავინახოთ.

„როცა დრო მოვა, ინგლისი ყოველ ღონის-ძიებას იხმარს, რომ მებრძოლთ შორის მშვიდობიანობა ჩამოაგდოს.

„მართალია, ინდოეთის გზა ინგლისისა არზრუმზე გაივლის; მაგრამ სანამ სუეცის არხი ინგლისს შეკრული არა აქვს, მანამ ამ გზითაც დაკმაყოფილდება.

**რაგუზა**, 16 ნოემბერს. ჩერნოგორიელებმა დუბინიე აიღეს.

**სტამბოლი**, 16 ნოემბერს. აქაურს გაზეთებში დაბეჭდილია მმართებლობის პროკლამაცია, რომელშიაც პორტა უცხადებს ბოლგარიელებს, რომ ვინც შინ დაბრუნდება და კანონიერ მთავრობას დაემორჩილება, იმას არავითარ სასჯელს არ მიაყენებენ აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის.

## ომის ამბები

### აზიის ბრძოლის ველიდამ

რამდენსაც იწერებიან, თუ იმის ნახევარი ჯარი გამოუგზავნა ოსმალეთის მთავრობამ მუხთარ-ფაშას არზრუმისაკენ, იმათ მართლაც იმედი უნდა ჰქონდესთ, რომ სრულებით არ წაუხდებათ საქმე მცირე აზიაში.

ვენის გაზეთს „Presse“-ს სტამბოლიდამ მოუვიდა ამბავი, რომ ბაღდადსა და დიარბეკირში ამ ჟამად ჯარებს აგროვებენ და ამას რომ ოსმალოს სხვა მხარეებში მოგროვილი ახალი ჯარები მოუმატოთ, გამოვა, რომ ერთი-ორი თვის განმავალობაში ის 250,000 ჯარს გამოიყვანს კიდევ ბრძოლის ველზედაო.

„ჰიროშის სააგენტოს“ გვაცნობებს, რომ ტრაპიზონში გამოვიდა ხმელეთზე 16,000 კაცი, რომელთაც ბრძანება აქვთ სტამბოლიდამ, რომ ერთი ნაწილი ერზინგიანში დარჩეს და მუხთარ-ფაშის არმიას შეუერთდეს და მეორე ნაწილი კი პირ-და-პირ არზრუმისაკენ წავიდეს, რომლის დაცვაც იზმაილ-ფაშას აქვს მინდობილი.

—

ლონდონის გაზეთს „Daily Telegraph“-ში შემდეგი დეპეშა არის მოყვანილი, რომელიც ამ გაზეთს 9 ნოემბერს მიუღია სტამბოლიდამ:

„ოსმალეთის სამხედრო მთავრობის ბრძანებით, საჩქაროთ აგროვებენ ამ ჟამად აზიაში ახალ ჯარებს (რეზერვებს). ყველა ოსმალოს ქვეშევრდომი 20 წლიდამ დაწყებული ვიდრე 50 წლამდის, ვისაც კი თოფის დაჭერა შეუძლიან ხელში, უნდა გამოვიდეს ბრძოლის ველზედ.

„ამნაირად აქ იმედი აქვთ, რომ ამ ზამთრის განმავალობაში ესენი იმდენ ჯარს მოაგროვებენ, რომ თებერვლისთვის ანუ მარტისთვის კიდევ 250—300,000 კაცის გამოყვანა შეეძლოსთ ბრძოლის ველზედ; ამ ახალი ჯარიდამ, სამხედრო სამინისტროს განკარგულებით, 75,—100,000 მუხთარ-ფაშის მოსახმარებლად უნდა გაგზავნონ მცირე აზიაში და დანარჩენი კი ბოლგარიაში და ბალკანისაკენ.“

—

ლონდონში მისულა არზრუმიდამ შემდეგი დეპეშა, 7 ნოემბერს, რომელიც ინგლისურ გაზეთებიდამ რუსულს გაზეთებში არის გადმობეჭდილი:

„გუშინ, 6 ნოემბერს, რუსისა და ოსმალოს ჯარებს არზრუმის მახლობლად, სოფ. მონდეურკესთან ჰქონდათ შეტაკება. არზრუმის სამხრეთით დაბანაკებულ რუსის ჯარს ოსმალოები ზარბაზნებს ესვრიან.

„დევე-ბოინიდამ რუსის ჯარი ჯერ-ჯერობით არ იძვრება; მხოლოთ წვრილ-წვრილი ცხენოსანი ატრიადები რუსისა დადიან ხანდისხან არზრუმის ახლო-მახლო ადგილებში იმ განზრახვით, რომ ჩვენი ჯარები და სიმაგრეები დაათვალიერონ.“

—

რუსულ გაზეთს „Голосъ“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 10 ნოემბერს ვენიდამ მიღებული:

„კერძო პირებისაგან მოვიდა აქ ამბავი, ვითომც სამხედრო პირები, რომელნიც ხელმწიფე იმპერატორს გარს ახვევიან, ურჩევენ იმას, რომ პირ-და-პირ ოსმალეთთან დაიწყოს მორიგებაზე მოლაპარაკება; დიპლომატები კი ამტკიცებენო, რომ ეს მოლაპარაკება ევროპის უმთავრესი სახელმწიფოების საშუალებით უნდა დაიწყოსო.“

### ევროპის ბრძოლის ველიდამ

ნემეცურს გაზეთს „Tagblatt“-ში მოყვანილია შემდეგი ტელეგრამმა 7 ნოემბერს სოფიიდამ მიღებული:

„დღეს, დილით ადრე, სამი კოლონა რუსის ჯარისა დაეცა შაქირ-ფაშის ატრიადს ორხანიეს სამხრეთით, სოფ. ვრაჩემთან გამაგრებულს. რამდენიმე საათის განმავლობაში იყო სროლა; ბოლოს რუსები იძულებული შეიქნენ, დიდის ზიანით უკან დაბრუნებულიყვნენ.“

—

ლონდონის გაზეთს „Daily Telegraph“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა ვენიდამ მიღებული:

„რამდენათაც რუსები ემდურიან ინგლისს იმის გამო, რომ ვითომც ეს სახელმწიფო თოფ-იარაღითა, ფულით და აფიცრებით ეხმარება იმათ მოწინააღმდეგეს—ოსმალეთს, იმდენათაც ოსმალოები უჩივიან გერმანიას; აქაურ ოსმალოს ელჩმა დამარწმუნა მე, რომ გერმანია არღვევს ნეიტრალიტეტსო, რადგან ის თოფ-იარაღს, ზარბაზანს, ტყვია-წამალს და სხვა ყოველ სამხედრო მასალასა და იარაღს აძლევს რუსებსაო.

„მე არ ვიცი—რამდენათ მართალია ეს ამბავი; მე გარდმოგეცით მხოლოთ ის, რაც მე მითხრეს.“

—

შიპკის ქედთან დაყენებულ ოსმალოს ჯარის სარდალს რეუფ-ფაშას შემდეგი დეპეშა გაუგზავნია სტამბოლში ამ თვის ექვსს:

„აქ თითქმის დაუწყნარებელი სროლა გვაქვს მტერთან. ჩვენმა მორტირის დიდრონ ზარბაზნებმა სამი ზარბაზანი გაუფუჭა რუსებს წმ. ნიკოლაის მთაზედ.

„თოვლი და ცუდი ამინდი დიდ ზიანს აძლევს მტერს, რომელსაც არც საზამთრო ტანთსაცმელი აქვს და არც სადგომები“.

—

ვენის გაზეთს „Fremdenblatt“-ში იწერებიან 4 ნოემბერს სტამბოლიდამ:

„აქ ნამდვილად ამბობენ, რომ ამ ნოემბრის 2-ს ოსმან-ფაშას იმდენი სასმელ-საჭმელი და სამხედრო მასალები ჰქონია თავის ჯარისათვის პლევნოში, რომ სამი კვირის განმავლობაში კიდევ ეყოფაო.“

ყველა გაზეთები ერთ-ხმად ამბობენ, რომ ოსმან-ფაშას ნოემბრის შუამდინ ან ბევრი-ბევრი ამ თვის 25-მდინ ეყოფა ის სურსათიო, რომელიც შევქეთ-ფაშამ შეუგზავნა იმას უკანასკნელად ორხანიედამაო.

მაშასადამე ამ ერთის კვირის განმავლობაში პლევნოდამ ყურადღების ღირსს ამბებს უნდა მოველოდეთ.

—

სოფიიდამ გაზეთს „Politische Correspondenz“-ში იწერებიან 8 ნოემბერს:

„დღეს მოვიდა აქ მეჰმედ-ალი-ფაშა. იმის ხელ-ქვეშ ითვლება ახლა 60 ბატალიონი (35,000) კარგათ დაიარაღებული და სამხედროდ მომზადებული ჯარი და 150 ზარბაზანი.

„მეჰმედ-ალი-ფაშას იმედი აქვს, რომ ამ ჯარის შემწეობით ის შეიძლებს ოსმან-ფაშის გამოხსნას პლევნოდამ.“

—

ფრანცუზულს გაზეთს „Le Temps“-ში იწერებიან ბუხარესტიდამ 4 ნოემბერს:

„ნამდვილად შევიტყე, რომ ოსმან-ფაშას კიდევ ოცი დღის სამყოფი საჭმელ-სასმელი აქვს; ტყვია-წამალი და საზოგადოთ სხვა ყოველ-გვარი სამხედრო მასალები იმდენი აქვსო, დამარწმუნეს, რომ ორ თვესაც კარგათ ეყოფაო.

„ყველა ეს გარემოება აცნობა თურმე ოსმან-ფაშამ ორხანიეში მყოფ მეჰმედ-ალის. ამიტომაც ამბობენ ახლა და ეს მე მჯერა კიდეც, რომ ამ ნოემბრის დამლევს მეჰმედ-ალი-ფაშა თავის 40,000 კაცით გამოიწევს წინ და ეცდება პლევნოზე გარშემორტყმულ რუს-რუმინების ჯარისაგან დაიხსნას ეს მხნე სარდალი — ოსმან-ფაშა.“

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

**თელავი.** 10 ნოემბერს. ეს რამდენიმე დღე არის, რაც ჩვენი პატარა თელავის მცხოვრებთა კერძოთ შეიტყეს ჩვენის ჯარების გამარჯვებით ყარსის ციხის დაპყრობა; მაგრამ, რადგანაც ოფიციალურათ არ იყვნენ ჯერ ამაში დარწმუნებულნი, ამისათვის ეს საგანი ბევრს საეჭვოდ მიაჩნდა, ასე რომ აქა-იქ ხალხის ლაპარაკში ხშირათ ისმოდა: „ყარსი ისეთანა სიმაგრეა, რომ ასე ადვილი არ არის მისი აღებაო!“

დღეს დილით კი ყოველი სული დარწმუნდა, რომ ყარსის აღება მართალი ყოფილა და ყველანი მიეშურებოდნენ თელავის სობოროს ეკკლესიაში, სადაც

---

# ფელეტონი

## ლეკების ზაქათალის მაზრაში

ერთი კვირა არ იქნება, რაც ჩვენმა კახის ხალხმა ცოტათი იყო ძლივს მოისვენა. ძალიან ცუდიც იქნებოდა, თუ ესე არ მომხდარიყო.

ამ „ლეკების მოდიან-ის“ გამო, ხალხი, ამ სახნავ-სათესის დროს, სრულიად თავის საქმეს მოშცდარი იყო.

როგორც სიღნაღის მაზრაში, ისე ჩვენი კახის ხალხი იყო მოგროვებული მთელი ზაქათალის მაზრიდამ სოფლების დასაცველად. ამათი მოვალეობა მასში მდგომარეობდა, რომ მაზრის გარშემო საზღვრებს იცავდნენ და არავის არ უშვებდნენ და ლეკების ჩამოსვლაზედ მათ უნდა შეეტყობინებინათ ადგილობრივ ადმინისტრაციისათვის. გარდა ამისა ჩვენის სოფლიდგან, როგორც სხვა სოფლებიდგანაც, ყოველ დღე-ღამ კომლათ ერთი კაცი თოფ-იარაღით იდგნენ ყველა თავიანთ სოფლების გარშემო; ასე ყოველს ოჯახიდგან ერთი პირი იყო გადადებული ყარაულზედ დაწყებული ნახევარ სექტემბრიდგან აქამომდე.

ზოგ-ზოგებს, ვინც მარტო-ხელ ოჯახისანი არიან, აქამომდე მუჭა პურიც არ დაუთესნიათ და ჩალთუქებიც ისევ მოსამკელები უყრიათ. ასე რომ ხალხს მომავალ წლის შიმშილისა უფრო ეშინოდა, ვინემ ლეკებისა. მართლაც, ხალხი კიდეც თხოულობდა—ნუ გვაცდენთ საქმე-ყოფაზედო და როცა ლეკები დაგვეცემიან, ჩვენ თავს ჩვენ დავიცავთო. საზოგადოდ აქ თვითონ ხალხს არ ეშინოდა ისე, როგორც მაღალ წოდების პირებს და ვაჭრებს და ამათივე ბრალია, რომ ხალხში ასეთი ალიაქოთი იყო.

ამ ფაცა-ფუცში ბევრმა ჯიბეები გაიტენა ტყუილ-მართალ ამბების მოტანით და ბევრმაც თავის პატიოსნება, სულის სიწუთე და საძაგლობა გამოიჩინა. ამ გარემოებამ განარჩივა თხები ცხვრებისაგან: ყველა გრძნობდა თავის ცოდვებს,—ეს უფრო სასოწარკვეთილებაში ჰყრიდა „გაცვეთილს“ პირებს: ვაი თუ ბადალი გადგვიხადესო! იძახდნენ ცოდვილები. ხალხი რაღასაც მოელოდა და აი გასულ ღვინობისთვის 28-ს ფარდა ჩამოეშვა ორ მთას შუა:

სოფ. ელისოში და სარუბაშში ჩამოვიდნენ ლეკები. ჯერ მათ სარუბაშშიდაც არ მოეწივნათ, კახის ნაიბთან მოვიდა ამბავი, რომ ლეკები სარუბაშის ახლო-მახლო მოსულანო და დგანანო. რადგან ნაიბს ხშირად ატყვილებდნენ, მას არ სჯეროდა ეს ამბავი; მაგრამ მაინც წაიყვანა სამი როტა (ამ დროს სამი როტა იდგა კახის თავში და ეხლაც არის იქვე ვგონებ უფრო მომეტებული აწინდელზედ), და გასწია ელისოში (კახიდგან 12 ვერსზედა).

ესენი რომ მოვიდნენ ელისოში, იქ შეიტყეს, რომ საღამოზედ ლეკები ნამდვილად სარუბაშში იქნებიანო (ელისოდგან სარუბაშამდი ათ-თორმეტი ვერსია). აქ ნაიბმა წაიყვანა ოთხმოცი სალდათი, ორასი ახლად მოგროვილი მილიცია და ერთი ინგილო თავისთან. ამ ხალხით მოვიდა სარუბაშში.

რამწამ შევიდნენ სარუბაშში, ყოველის მხრით სოფელში შემოესივნენ ლეკები და შეუკრეს გზა; ნაიბმა ნახა, რომ სა-

დანიშნული იყო სამადლობელი პარაკლისის გარდახდა. Ⴀმ სობოროში დღეს შეჰხვდებოდით არა მხოლოდ მართლმადიდებლის სარწმუნოების ხალხს; აქ იყვნენ მრავალნი სომეხთ სარწმუნოების ქალები და კაცებიც და რავდენიმე დამარცხებულის მტრის ერთ-მორწმუნენიც; იქნება ეს უკანასკნელნი ძალიან სურვილითაც არ ელოდებოდნენ Ⴗარსის აღების გამოცხადებას; მაგრამ დანაშთენი ხალხი კი მოუთმენელად ელოდა იმ წამს, როდესაც წაიკითხავდა მღვდელი ამ გამარჯვებაზედ გამოგზავნილს მოწერილობას.

Ⴀგერ შესრულდა წირვა და მღვდელმა გამოიტანა რაღაც ქაღალდი და აპირებს წაკითხვას. Ⴗველანი მივხვდით, რომ ეს ქაღალდი გვაცნობებდა Ⴗარსის აღების ამბავს და ამის გამო ყველამ მივაქციეთ ყური და თვალი იმ მღვდელისაკენ. რამდენსამე მინუტს ისეთი სიჩუმე იყო, რომ თითქოს ეკკლესიაში არც ერთი სულდგმული არ ჩუჩუნებდა. Ⴁოლოს მოვისმინეთ „Ⴗარსის აღება.“ Ⴆედ მოჰყვა Ⴇელავის სასულიერო სასწავლებლის მგალობლების „მრავალ-ჟამიერი“, რომელიც იყო ნათქვამი ხელმწიფე Ⴈმპერატორის და მის მხედრობისათვის.

Ⴀმით გათავდა ცერემონია და დაიშალა ხალხი გამოსვლისათანავე ეკკლესიიდგან, ადგილობრივი მცხოვრებნი აქაიქ ქუჩათ შეყრილნი ლაპარაკობდნენ Ⴗარსის აღებაზედ...

Ⴀმ თვის რვაში სოფელს ბუშატში, ქორწილის დროს, ერთმა ჭაჭა-ნაჭამმა მაყარმა ესროლა ქათამს საფანტით გატენილი თოფი ისეთის სიმარჯვით, რომ ქათამიც მოკლა და ერთსა-და-იმავე დროს დასჭრა ათის წლის ქალი; როგორც აღმოჩნდა, სულ სამი საფანტი რგებია ამ უბედურს. Ⴄრთს ფეხის კოჭს ზემოდგან სირბილეში გაურბენია; მეორე ბარკალში მოხვედრია და დამდგარა ძვალში და მესამეს მუცელი გაუკაწრავს. Ⴄხლანდელი მდგომარეობა დაჭრილისა ჯერ საშიშს არას აჩვენებს სიცოცხლისათვის და ამას იქით არ ვიცით.

Ⴔუთკარი

## უცხო ქვეყნები

### ოსმალეთი

Ⴂაზეთები და ტელეგრამმები სტამბოლის ხალხის არეულობაზე იწერებიან კიდევ. რუსებისაგან Ⴗარსის აღებამ განსაკუთრებით ააშფოთა ხალხიო, ამბობენ, და როგორც ამას, აგრეთვე საზოგადოთ თავიანთ არმიის დამარცხებას სარდლების უნიჭობასა, ღალატს და სტამბოლის მთავრობის ცუდს განკარგულებას აბრალებენო.

Ⴀმ საგნის შესახებ პარიჟის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი წერილი იქაური Ⴍსმალოს ელჩისა:

„Ⴋომეტებულ ნაწილ გაზეთებში გადმობეჭდილია პირველად „პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ დაბეჭდილი ამბავი, ვითომც სტამბოლში რაღაც შეთქმულობა აღმოაჩინესო, ვითომც ხონთქრის მოწინააღმდეგე ხალხმა უწესოება მოახდინა სტამბოლშიო და სხვა ამგვარები.

„Ⴍსმალეთის საელჩოს მონდობილი აქვს დაგარწმუნოსთ თქვენ, რომ ყველა ეს ამბავი გაზვიადებულია. საქმე აი რასში მდგომარეობს:

„Ⴂარდაყენებული სულთანის მურადის ზოგიერთა მოსამსახურეებმა უწესოება ჩაიდინეს; მთავრობამ გამოცვალა ისინი და მათ ალაგას ახალი მოსამსახურეები დაუნიშნა მურადს.“

— „Ⴠავასის სააგენტოში“ იწერებიან სტამბოლიდამ, რომ გამოჩენილმა ვენგრიის რევოლუციონერმა ღენერალ ქლაპკამ გამოსცა ახალი მანიფესტი, რომელშიაც ურჩევს ვენგრიელებს — მოსთხოვონ Ⴀვსტრიის იმპერატორს, რომ გულ-გრილად ნუ შესცქეროს ამ რუს-Ⴍსმალოს ბრძოლას, რომ იმან მაიღოს ამ ბრძოლაში დაახლოებული მონაწილეობა და არ დააჩაგვრინოს საზოგადო მტერს Ⴍსმალეთი. „Ⴍსმალეთის დამცირება Ⴀვსტრიასაც და ყველაზე უფრო ვენგრიას დაჩაგრავს და დაამცირებსო,“ ამბობს, სხვათა შორის, ქლაპკა თავის ეპისტოლეში.

### საფრანგეთი

Ⴄრთს პარიჟულ გაზეთში იწერებიან:

„Ⴋარშალ მაკ-მაჰონს გამოეცხადა ამას წინათ რამდენიმე დეპუტატი და სხვა-და-

---

ქმე ცუდათ არის, გაპირა ხევს უკან Ⴄლისოში დაბრუნება; ეს ისეთი ქუვრიანი ხევი არის, რომ ყოვლად შეუძლებელია აქედგან სიარული; ამის გამო მასთან მყოფი ხალხი ურჩევდა იმავე გზით წავიდეთო; მაგრამ იმან თავისი არ დაიშალა, რადგან მიმხვდარი იყო, რომ ეს გზა შეკრული არისო. Ⴌაიბმა გამოიხმო ჯარი თავის უკან ხევში; ამ დროს მოიხედა, ნახა, რომ მილიცია აღარ მისდევს; მოდის მხოლოდ ის 80 სალდათი, რომელიც მან ჩაიბარა Ⴄლისოში, სამი თუ ოთხი ბეგი და კიდევ ერთიც ინგილო. Ⴄს რომ შეიტყეს ლეკებმა, გამოუდგნენ უკანიდგან ნაიბს.

Ⴌაიბთან მყოფი პირები ამბობდნენ, რომ Ⴄლისომდის ერთ ვერს დარჩომამდინ უკანიდგან მოგვდევდნენო და თოფებს გვესროდნენო; თუ ნაიბის ქუჯი Ⴈნგილოს არ დაეხუროსო, მას უთუოთ მოჰკლავდნენო.

Ⴀმავე დღეს ნაიბი Ⴄლისოდგან საღამოზედ ქახში გამოვიდა.

Ⴋეორე დღეს ზეინუგშიდაც (ნუხის მაზრაში) ჩამოვიდნენ; იქ კი რიცხვით უფრო ბევრნი, ოთხ ნაიბის „წინამძღვარობით. Ⴈმ წამსვე ამ სამს როტას ბრძანება მოუვიდა, რომ ზეინუგში წასულიყვნენ. Ⴄს რომ გაიგეს, ლეკებმა, Ⴄლისოში ჩამოვიდნენ; აბავე დროს ზაქათალიდგან აქ მოვიდა ერთი ბატალიონი ყაზახებით და ერთი ზარბაზნით.

Ⴀმის მეორე დღეს ლეკები მოვიდნენ Ⴓლუქორფთან (შესანიშნავი ხიდია ქახს და Ⴄლისოს შუა გზაზედ) და დადგნენ რუსების დასახვედრათ, რომლებიც ლეკებისგან დაჭერილ Ⴄლისოს ასაღებლად მიდიოდნენ. Ⴀქ შეიქნა საშინელი თოფის სროლა: Ⴊეკები ხიდის იქით ყურის ქვითკირს უკან იყვნენ მოფარებულნი და ისე ისროდნენ თოფებს. სანამ ჯარის მხრით მარტო თოფებს ისვრიდნენ, ლეკები მარდათ იყვნენ; მაგრამ რამწამ კი ერთი-ხუთჯერ დაცალეს ზარბაზანი, მაშინვე გაიქცნენ ახლო მთებზედ.

Ⴀმ შეტაკებაში 50-მდი ლეკები მოკლეს. Ⴅინც გადურჩა ამ ცეცხლს, Ⴃაღესტანშივე გაიქცნენ. Ⴃახოცილებთა შორის ამბობენ ბევრი Ⴄლისოსელი და სარუმაშის მცხოვრებნი ერიაო.

Ⴋათ სამი დროშა წაართვეს. Ⴗოველ დროშაზედ არის წარწერილი: „ლა ილაჰა ილა ლაჰ, მაჰამედა რასულაჰ!“ (Ⴄსე იგი: “Ⴀრ არის ღმერთი ერთის გარდა, მაჰმადი მისი წინასწარმეტყველია!“ მერმე სახელი და გვარი იმ პირისა, ვისაც დაჰქონდა დროშა. Ⴀმ დროშებ გარდა სალდათებს დარჩათ ასამდე ხანჯლები, თოფები და ხმლები, ორი ვირი და ბევრი ყაუტის გუდები; (ყაუტი მათვის შეადგენს ერთად-ერთს საჭმელს ლაშქრიანობის დროს).

Ⴗველა ლეკებთაგანნი არ იყვნენ ხანჯლით, ხმლით და თოფებით დაიარაღებულნი; ბევრნი მათგანა მარტო კომბლით და ჯოხებით წვერზედ წვეტ-წვეტ რკინებით მოსულიყვნენ საომრათ.

Ⴀმ გვარ ტრაგიკურ ომის შემდეგ, ყველას მათი საცოდავი გვამები, აქა-იქ მიწაზედ მირთხმულები, ებრალებოდა . . .

Ⴇიძირელი

სოფ. ქახი, გიორგობისთვის 6-ს.

სხვა პოლიტიკურ საგნებზე მოლაპარაკების დროს მარშალმა უთხრა იმათ:

„—მე უფრო ჩქარა დავთანხმდები, რომ ჩემის თანამდებობიდამ გადავდგე, ვინემ რომელიმე ძალ-დატანებითი სახელმწიფო ცვლილება მოვახდინო საფრანგეთში.“

—ფრანცუზულს გაზეთებში მოყვანილია შემდეგი სიტყვა, რომელიც წარმოუთქვამს, სხვათა შორის, გამბეტტას, რომელსაც ის ბიუჯეტის კამისიის თავ-მჯდომარედ აურჩევიათ:

„—ჩვენ (რესპუბლიკელები) კანონიერ გზას არ ავშორდებით და ამასთანავე ეცდებით, რომ შევაჩეროთ ისინიც, ვინც ამ გზიდამ გადახვევას განიზრახავს!“

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათმყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ—დოქტორი ონანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11-დამ 12-მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ დაკვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ონანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ, ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა იძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.

# განცხადებანი

**მეომართა გაჭირვებულ ოჯახების მზრუნველმა თფილისის ქალაქის საზოგადოებამ** ამ 1877 წლის 23 ღვინობისთვეს დაიწყო თავის მოქმედება. თხოვნა გაჭირებულ მეომართ ოჯახებისაგან, შემწეობის თაობაზე, მიიღება მუდამ დღე შუა დღეზე ქალაქის გამგეობაში.

ამ საზოგადოების წევრად და იმის კრებებში ხმის მქონებელად ჩაითვლებიან ყველა ის პირნი, რომელნიც ხ უ თ მ ა ნ ე თ ზ ე ნაკლებს არ შესწირავენ.

(2—2)

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა

**„ცოლი ვიტირო თუ ფული?“**

ოთხ-მოქმედებიანი კომედია

**უფ. ალ. ა. თუთაევისა**

**ჩაის მაღაზია**

# პ. ვ. პოპოვისა,

რომელიც იმყოფებოდა გოლოვინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია **ერევნის მოედანზე, ტერ-ასატუროვის სახლებში.** პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი

**რაჟდენ ბედინიძე**

**გრიქოროვის წიგნის მაღაზიაში,** ქუკიის ხიდთან, ზუბალოვის სახლში, **ისყიდება ივანე კრილოვისა** თარგმნილი ქართულად თ.-**მიხ. გამრეკელი**-საგან. (3—3)

# სასესხებელი
მიეცემა
# ფული

**იმ პირობით რომ მოვალემ მუდამ კვირას ანუ თვეში** გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად. უფრო დაწვრილებული პირობების შეტყობა ბულაკოვსკისთან, ვორონცოვის ხიდზე, ზუბალოვის სახლებში, ვარშავის ფეხსაცმლის მაღაზიაში, მუდამ დღე დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

პატივი მაქვს გამოუცხადო თფილისის საზოგადოებას, რომ მე ვაკეთებ საუკეთესო შავსა და ფერად-ფერად **მელანს** და აგრეთვე ვყიდი წალებისა და ეკიპაჟების ბორბლებისათვის ისეთს **მაზს** რომ **წყალი ვერ გაატანს.** ერთს ბოთლს მელანს ვყიდი უბოთლოთ 50 კაპ, ბოთლიანათ 60 კაპ.

მსურველს შეუძლია ამ ადრესით მიმართოს: არწრუნის ქარვასლაში, № 85

**სტეფან ხუდადოვი**

# გაკვეთილები

თეორეტიულის და პრაქტიულის **ბუხ-ლალტერიისა** ორ-გვარის ანუ იტალიურისა, ბანკის, ფაბრიკის, სავაჭრო, კომისიურის და აგრეთვე **სავაჭრო არითმეტიკისა.**

**ადრესი:** ლაბორატორიის ქუჩა, ნამესტნიკის ბაღის პირ-და-პირ, პსაროვის სახლებში, № 14.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| აბ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| აბ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 12 გიორ. | | |
| ერთი ქაღალდის მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 24 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 252 სანტიმი. | — | 62 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7½ | |
| ბანკის ბილეთი 5% | 95 | |
| მოგებიანი (პირველის ს.) | 21 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 215 | 5 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ტფილ. სათავ. ბანკისა. | — | |
| ხერსონის ბანკის (5%) | 85 | 25 |
| მოსკოვის (5%). . . | 85 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 527 | — |
| კავკასიის და მერკურის . | 225 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 745 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | - |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 16 გიორგობ | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 1 | 90 |
| ფქვილი წითელი . . | 1 | 45 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 25 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 8 | 20 |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| ბაპტილი ბამბა ფუთი. | 9 | 50 |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | — |
| —თარაქამისა ფთ. . | 3 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 3 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 5 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 54 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 54 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | — | 63 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 12 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 8 | 20 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 7 | 20 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 26 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 12 | — |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 8 | 18 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Ноября 1877 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.